

ახალგაზრდობა: სწორი მიმართულება

ინფორმაცია ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოებისთვის

პროექტის შინაარსი

მოცემული პროექტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდული პროგრამების დანერგვა და ხილვადობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა (ალბანეთი, ბოსნია და სერბეთი) და კავკასიაში (საქართველო).

პროექტის საერთო მიზანია მისცეს ახალგაზრდებს საშუალება მიიღონ ცოდნა, აიმაღლონ უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები, ყურადღება ძირითადად გამახვილდება მულტიპლაიერების (ტოლი, თანასწორი) ტრენინგზე და ქსელური მუშაობისა და პარტნიორობის განვითარებაზე.

პროექტი აერთიანებს თანამშრომლობის, ტრენინგის და ინფორმაციული ხასიათის ასპექტებს, შემდეგი სხვადასხვა სახის საქმიანობების განხორციელების მიზნით: საინფორმაციო ხასიათის სემინარები, სპეციალიზირებული საინფორმაციო ცენტრების შექმნა, ვებ-გვერდებისა და საინფორმაციო ფურცლის დამზადება, ახალგაზრდა ელჩთა ჯგუფების შექმნა, განმანათლებლის ტრენინგი, სამუშაოს მოძიება, ტრენინგი, რომლის თემაა ევროპის მოხალისეთა სერვისი, ახალგაზრდული ფორუმის მოწყობა სხვადასხვა ქვეყნებში და 4 სხვადასხვა სახის ქსელური ბაზის მოწყობა პროექტის თანამონაწილეებისთვის, რომლებიც მუშაობენ ახალგაზრდულ სფეროში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში და საქართველოში.

პროექტის მიზნები:

მოცემული პროექტი მიზნად ისახავს გააძლიეროს და გაზარდოს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოთა ჩართვა ახალგაზრდული საქმიანობების სფეროში. პროექტის საერთო მიზანია მისცეს ახალგაზრდებს საშუალება მიიღონ ცოდნა, უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები, ახალგაზრდული პროგრამების გასავითარებლად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში, ყურადღება გამახვილდება რა მულტიპლაიერების ტრენინგზე და ქსელური მუშაობისა და პარტნიორობის განვითარებაზე.

პროექტის სპეციფიკური მიზნები:

- ხელი შეუწეოს ახალგაზრდულ პროგრამის დანერგვას (განსაკუთრებით მომავალ პროგრამას „ახალგაზრდობა მოქმედებაში“) სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა (ბოსნია და ჰერცეგოვინა, ხორვატია, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა, მაკედონია, სერბეთი და მონტენეგრო) და კავკასიაში (საქართველო), როგორც საშუალება რომ გაიზარდოს ახალგაზრდების მონაწილეობა ყველა დონეზე და განვითარდეს ევროპული მოქალაქეობა.
- თანასწორ განმანათლებელთა ტრენინგების საშუალებით მოხდეს შესაძლებლობის ამღვლეა ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული მუშაკებისათვის.
- განვითარდეს და კონსოლიდაცია გაეწიოს ქსელურ მუშაობასა და ურთიერთპარტნიორობას, იმ მიზნისთვის, რომ ჩამოყალიბდეს პლატფორმა ახალგაზრდულ სფეროში ხანგრძლივი მოქმედებისთვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში.
- პარტნიორობა შორის მოხდეს საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაცვლა ახალგაზრდულ სფეროში
- დაინერგოს და განვითარდეს ახალი, ინოვაციური მეთოდოლოგია და მიდგომა ინფორმაციის, ტრენინგის და ურთიერთთანამშრომლობისთვის.

საქმიანობები

ეს პროექტი აერთიანებს თანამშრომლობის, ტრენინგის და ინფორმაციული ხასიათის ასპექტებს.

1. ინფორმაცია

საინფორმაციო სემინარები: „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში

პროგრამა ითვალისწინებს სამი (3) სემინარის გამართვას საინფორმაციო თემაზე რომელთა მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდულ სფეროში ახალი პროგრამის („ახალგაზრდობა მოქმედებაში“, 2007-2013) ხელშეწყობა და გამჭირვალობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში, იმ მიზნისათვის, რომ **ახალგაზრდებს** მიეცეთ საშუალება მიიღონ ცოდნა, აიმაღლონ უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები.

სემინარები 3 დღიანია და ჩატარდება 3 სხვადასხვა ქვეანაში, იმ მიზნით რომ მოხდეს ახალგაზრდათა და ახალგაზრდულ საქმეთა მუშაკების ფასილიტაცია მათი მონაწილეობისათვის იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ჩართულნი არიან ამ პროგრამაში შეთავაზებული ადგილმდებარეობა:

- სისაკი (ხორვატია)
- ნისი (სერბეთი)
- სალონიკი (საბერძნეთი)

დამსწრეთა რაოდენობა თითოეულ სემინარზე: 30 ადამიანი

სპეციალიზირებული ახალგაზრდული საინფორმაციო ინფოცენტრები

პროექტი ითვალისწინებს შეიქმნას 11 სპეციალიზირებული ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრი იმ 11 სხვადასხვა ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოში, რომლებიც წარმოადგენენ პროექტის პარტნიორებს. მთავარი მიზანია, პროგრამამ უზრუნველყოს ინფორმაციის მოწოდება სხვადასხვა პროგრამების და შესაძლებლობების შესახებ ევროპაში, რომლებსაც ევროკავშირი და ევროპის საბჭო სთავაზობს ახალგაზრდებს.

მონფალკონეს მუნიციპალიტეტი, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციასთან ერთად, კოორდინირებას გაუწევს საინფორმაციო ცენტრების მთელ ქსელს პროექტის მიმდინარეობის პერიოდში.

სპეციალიზირებული ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრები განთავსებული იქნება:

- ხორვატია (3): ბრტონიგლა/ვერტენგლიო, სისაკი, ოსიჯეკი;
- ბოსნია და ჰერცეგოვინა (3): ზავიდოვიცი, პრიედორი, მოსტარი;
- სერბეთი (2): ნისი, სუბოტიცა;
- მონტენეგრო (1): ნიკსიცი
- იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია (1): ოჰრიდი;
- საქართველო (1): ქუთაისი.

ახალგაზრდა ელჩების პროგრამა

პროგრამის მიზანია შექმნას ახალგაზრდული ჯგუფები და ჩამოაყალიბოს ახალგაზრდულ საქმეთა მუშაკის ინსტიტუტი თითოეულ პარტნიორ თემში, რომლებიც დანერგავენ ახალგაზრდულ პროგრამას ლოკალურად და ჩართავენ ახალგაზრდებს და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ახალგაზრდულ ინიციატივებსა და პროექტში. **ახალგაზრდა ელჩების პროგრამის** ტრანსნაციონალური ქსელის ხელშეწყობა, გრანტის სახით აძლევს დამატებით ღირებულებას მოცემულ პროექტს.

ახალგაზრდა ელჩების პროგრამის მეთოდოლოგია ძირითადად ემყარება **თანასწორთა განათლებას.**

ახალგაზრდა ელჩების ჯგუფები დაფუძნდება პარტნიორთა თემებში: ამიტომაც გათვალისწინებულია 15 ადამიანით დაკომპლექტებული 19 ჯგუფის შექმნა.

საინფორმაციო კამპანიები

ეს პროგრამა კი ითვალისწინებს საინფორმაციო კამპანიას, რომელიც შეეხება მომავალ პროექტს „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ და განხორციელდება ახალგაზრდულ ნაციონალურ სააგენტოებთან, ახალგაზრდულ საკონტაქტო ცენტრებთან და „სალტოს“ რესურს-ცენტრებთან პარტნიორობით. ამ კამპანიის მნიშვნელოვანი ასპექტია ზუსტი კავშირები და თანამშრომლობა ნაციონალურ ახალგაზრდულ სააგენტოებთან, ახალგაზრდულ საკონტაქტო ცენტრებთან და „სალტოს“ რესურს-ცენტრებთან.

ვებ გვერდი

ეს პროექტი ითვალისწინებს აღსასა და პარტნიორების ვებგვერდების გამოყენებას. აღსას ვებ გვერდი გამოყენებული იქნება როგორც შეხვედრის ვირტუალური ადგილი, სადაც პარტნიორები, ახალგაზრდები და ახალგაზრდულ საქმეთა მუშაკები შეხვედებიან ერთმანეთს და მოხდება იდეების და კარგი პრაქტიკის გაცვლა და საერთო სახის საქმიანობებისა და პროექტების განვითარება. შეიქმნება ინტრანეტი (შიდა ქსელი)

საინფორმაციო ფურცელი

გათვალისწინებულია პერიოდული სახით საინფორმაციო ფურცლის გამოშვება. პროექტის მოქმედების პერიოდში, 9 საინფორმაციო ფურცლის გამოშვებაა დაგეგმილი (წელიწადში 3). გაზეთის მიზანი იქნება გააშუქოს ახალგაზრდული პროგრამისა და პროექტის საქმიანობები ახალგაზრდების და ახალგაზრდულ საქმეთა მუშაკებისთვის იმ თემებიდან, რომლებიც ჩართულნი არიან ამ პროგრამაში

2. ტრენინგი

თანასწორ განმანათლებელთა (მულტიპლაიერები) ტრენინგი (თგტ)

პროექტი მოიცავს 3 ტრენინგს, რომელთა მიზანია სწავლება ჩაუტარდეს დასაყრდნობ, უნარის მქონე და იმედის მომცემ ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ საქმეთა მუშაკებს, რომლებიც მხარს უჭერენ ნაციონალური სააგენტოების, საკონტაქტო ცენტრებისა და საღატოს რესურს-ცენტრების საქმიანობას, იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს ახალგაზრდული სფეროში პროგრამების განხორციელება. ტრენინგი მონაწილეებს საშუალებას მისცემს განავითარონ თავიანთი ცოდნა, აიმაღლონ უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები.

ტრენინგის ეს პროგრამა შექმნის საფუძველს შეიქმნას ახალგაზრდა ელჩთა ადგილობრივი ჯგუფები, რომლებიც მთავარ როლს შეასრულებენ ახალგაზრდული სფეროს პროგრამების გასავრცელებლად ადგილზე და დაამყარებენ ტრანსნაციონალურ თანამშრომლობას (აითვისებენ რა შესაბამის მეთოდოლოგიას.

ტრენინგები გაგრძელდება 4 დღე და გაიმართება 3 სხვადასხვა ქვეყანაში, იმ მიზნით, რომ მოხდეს ახალგაზრდათა და ახალგაზრდულ საქმეთა მუშაკების ფასილიტაცია მათი მონაწილეობისათვის იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ჩართულნი არიან ამ პროგრამაში.

შეთავაზებული ადგილმდებარეობა:

- შკოდრა (ალბანეთი)
- მონსტარი (ბოსნია და ჰერცეგოვინა)
- ქუთაისი (საქართველო)

დამსწრეთა რაოდენობა თითოეულ სემინარზე: 30 ადამიანი

სამუშაოს მოძიება

ეს საქმიანობა ითვალისწინებს ახალგაზრდულ საქმეთა მუშაკების მომზადებას იმ უნარ-ჩვევების ასაძლევლად, რომელიც ითვალისწინებს ახალგაზრდული პროექტების ორგანიზებას და სამუშაო ინიციატივებს, რომელიც საშუალებას მისცემთ მათ შეზღუდული დროით იმუშაონ უცხოურ ორგანიზაციებში, რომელთაც მაღალი დონის პროექტების განხორციელების გამოცდილება გააჩნიათ. განხორციელდება გაცვლითი პროგრამები ევროკავშირის წევრ პარტნიორებსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის და კავკასიას (საქართველო) შორის. შესთავაზებს რა სასწავლო გამოცდილებას მაღალ კვალიფიციურ ორგანიზაციაში, სამუშაოს მოძიების პროგრამა გამოადგება ახალგაზრდული საქმეთა მუშაკს განხორციელოს ისეთი პროექტის ორგანიზება, სადაც გამოცდილების და კარგი პრაქტიკის გაცვლას მიექცევა ყურადღება. **სამუშაოს მოძიების პროგრამა** გათვალისწინებულია 12 ახალგაზრდული საქმეთა მუშაკისთვის 12 სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციაში. ყველა ქვეყანა და პარტნიორი ჩაერთვება ამ პროგრამაში, ან მასპინძელის ან ახალგაზრდულ საქმეთა მუშაკის გამგზავნის როლით.

ტრენინგი, რომლის თემაა ევროპის მოხალისეთა სერვისი

ტრენინგი, რომლის თემაა ევროპის მოხალისეთა სერვისი გათვალისწინებულია ევროპის მოხალისეთა სერვისის პროექტის გასავითარებლად და მისი სამუშაო ქსელის შესაქმნელად იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მუშაობენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიაში (საქართველო) და შეიძლება გრანტის სახით პროექტს შესძინონ

ორმაგი ეფექტი, მაღალი ხასისხის პროექტები, მოახდინონ საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა, ხანგრძლივი თანამშრომლობა და თავდადება

ტრენინგი მხარს უჭერს როგორც ახალგაზრდებს, აგრეთვე ახალგაზრდულ საქმეთა მუშაკებს, რომელთაც გრძელვადიანი მოხალისეობის მცირე გამოცდილება გააჩნიათ ან საერთოდ არა აქვთ გამოცდილება. ტრენინგის პროგრამა საფუძვლიანად შეეხება თემებს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია **ევროპის მოხალისეთა სერვისთან**.

ტრენინგი გაგრძელდება 4 დღე. შეთავაზებული ადგილმდებარეობა: ნიკსიკი, მონტენეგრო. მონაწილეთა რაოდენობა: 40 ადამიანი.

3. თანამშრომლობა

საერთაშორისო ახალგაზრდული ფორუმი

საერთაშორისო ახალგაზრდული ფორუმი გათვალისწინებულია პროექტის განხორციელების მეორე წლისთვის. პროგრამა მოიცავს მოძრაობას მთელს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ხორვატიიდან ალბანეთამდე, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის გავლით, სერბეთი, მონტენეგრო და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, რათა გაღრმავდეს ორმხრივი ცოდნის დონე სხვადასხვა ახალგაზრდულ პროგრამათა კონტექსტში და ხელი შეეწყოს თანამშრომლობას ახალგაზრდულ სფეროში.

ახალგაზრდული ფორუმი გასტანს 10 დღე. ის დაიწყება ხორვატიაში (ბრტონიგლა/ვენტენეგლიო) და დასრულდება ალბანეთში (შკოდრა). მონაწილეთა რაოდენობა: 28 ადამიანი. ყურადღება მიექცევა მონაწილეთა სქესს და ასაკს.

სამუშაო ქსელი

მოცემული პროექტის მთავარი შედეგი არის საფუძვლის მომზადება, რომ ჩამოყალიბდეს 4 სამუშაო ქსელი ხანგრძლივი ვადით რომელიც იმუშავებს ახალგაზრდულ სფეროში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში (საქართველო).

სპეციალიზირებული ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრების სამუშაო ქსელი (საინფორმაციო ტრენინგების შედეგი)

ახალგაზრდა ელჩების პროგრამის სამუშაო ქსელი (საინფორმაციო ტრენინგების შედეგი)
თანასწორ განმანათლებელთა (მულტიპლაიერები) სამუშაო ქსელი (თანასწორ განმანათლებელთა (მულტიპლაიერები) ტრენინგის შედეგი)

ევროპის მოხალისეთა სერვისის სამუშაო ქსელი (ევროპის მოხალისეთა სერვისზე ტრენინგის შედეგი)

ეს ოთხი სამუშაო ქსელი გათვალისწინებულია პროექტისთვის და მიზანია მასში ჩაერთოს თანამომავლილეთა დიდი რაოდენობა ახალგაზრდული სფეროში სამუშაოდ თემებიდან მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის და კავკასიის (საქართველო) რეგიონებიდან.

ნაციონალურ ახალგაზრდულ სააგენტოებთან, ახალგაზრდული პროგრამების საკონტაქტო ცენტრებთან სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში და სალტოს რესურს ცენტრებში.

სპეციალური ყურადღება მიექცევა იმ საკითხს, რომ დამყარდეს რეალური პარტნიორობა ნაციონალურ ახალგაზრდულ სააგენტოებს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ახალგაზრდული პროგრამების საკონტაქტო ცენტრებსა და სალტოს რესურს ცენტრებს შორის.

ადს-თა ფინანსური მდგომარეობა

დაფინანსება

თითოეული ადს-ს ბიუჯეტი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ადს რა საქმიანობაზე იქნება პასუხისმგებელი; ეს გადაწყდება და განისაზღვრება ორგანიზაციული კომიტეტის სხდომაზე, რომელიც გაიმართება 2007 წლის აპრილში.

წვლილი სემინარების/ტრენინგების კოორდინირებისთვის

დაგეგმილია 6 საქმიანობა (განხორციელებაზე პასუხისმგებელია 6 სხვადასხვა ადს):

3 დღე დაეთმობა ინფორმაციის გაზიარებას

3 დღე განსაზღვრულია ტრენინგისთვის

საკოორდინაციო საქმიანობის განსახორციელებლად, გათვალისწინებულია 1,500 ევრო.

ადგილობრივი საინფორმაციო ცენტრების კოორდინირება

თითოეული ადს-სთვის, საკოორდინაციო საქმიანობის განსახორციელებლად ბიუჯეტი ითვალისწინებს 3.636,36 ევროს.

პროექტი გაგრძელდება 3 წელიწადს: ასე, რომ თითოეულ წელიწადზე უნდა გაითვალისწინოთ 1.200 ევრო.

მასალები/მოწყობილობები ადგილობრივი საინფორმაციო ცენტრებისათვის

ბიუჯეტი ითვალისწინებს 545,45 ევროს ადგილობრივი საინფორმაციო ცენტრების მასალების შესაძენად და ტექნიკური აღჭურვისათვის

თანა-დაფინანსება

მოთხოვნილი თანადაფინანსება, რომელიც ჩამოყალიბებულია თქვენთვის გამოგზავნილ დამტკიცებულ წერილებში, გამოყოფილია 4.000 ევრო თითოეული ადს-სთვის (სამი წელიწადის განმავლობაში, 1.333,33 ევრო თითოეულ წელიწადში).

ეს წვლილი შეიძლება წარმოადგენდეს იმ დანახარჯს, რომელიც დამხმარე საქმიანობებისთვისაა საჭირო, ისეთი როგორცაა მგზავრობა, კვება და ოთახი, შესვედრებისა და ივენთების ღირებულება, მომარაგება და დანარჯვადი აქტივები, ა.შ.